პროექტი "უკან მომავალში"

პროექტის სახელი "უკან მომავალში" შეირჩა თავად პროექტის შინაარსიდან და მისი მიზნიდან გამომდინარე. კერძოდ, აღნიშნული ფრაზა, ხაზს უსვამს ქართული სახელმწიფოს ისტორიულ როლსა და ქართველი ხალხის არჩევანს, მის მისწრაფებას დაუბრუნდეს ევროპულ ოჯახს, გახდეს თანამედროვე ევროპული ერთობის სრულუფლებიანი წევრი.

აღნიშნული პროექტი არის სიახლე ქართულ რეალობაში რამოდენიმე მიზეზის გამო:

პროექტი მიზნად ისახავს საზოგადოების, როგორც მთავარი აქტორის წარმოჩენას ქვეყნის ევროპის კავშირში ინტეგრაციის პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ პროცესში, საზოგადოების ჩართულობა არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სურვილით, არამედ გამოიხატებოდეს საზოგადოების მიერ იდენტიფიცირებული სტრატეგიული მიზნისაკენ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯებით. პროექტის ფარგლებში, ორგანიზაცია უზრუნველყოფს საზოგადოების ფართო ჯგუფების უშუალო მონაწილეობას იმგვარი სისტემის შექმნაში, რომელიც მაქსიმალური სიზუსტით გაზომავს საქართველოს განვითარების ამჟამინდელ სტადიას, აგრეთვე საქართველოს ევროინტეგრაციისათვის აუცილებლად მისაღწევ მინიმალურ დონეს.

პროექტის ფარგლებში განისაზღვრება გზა, განვითარების არსებული დონიდან, ევროპის კავშირში გაწევრიანებისათვის დადგენილ კრიტერიუმებთან თავსებადობის დონემდე. პროექტის პროდუქტია სახელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვანი სფეროების მიხედვით შემუშავებული მოდერნიზაციის მწყობრი ნაბიჯები, რომლებიც ერთის მხრივ ბიძგს მისცემს სახელმწიფოს მოდერნიზაციის პრინციპულად ახალი ეტაპის ინიცირებას, ხოლო მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მდგრადობისა და შეუქცავოდბის უზრუნველყოფას. ამასთანავე, პროექტის პროდუქტი იქნება "ტესტის" ფუნქციის მატარებელი. საზოგადოება, გაზრდილი ცნობიერებით, შეძლებს "განვითარების ტესტზე" გაატაროს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შეაფასოს, კონკრეტული გადაწყვეტილების როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნის - ევროპის კავშირში გაწევრიანების თვალსაზრისით.

პროექტში საზოგადოების ეფექტური ჩართულობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელების სტრატეგია და მექანიზმი. ზემოთაღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ჩართულობის რამოდენიმე ფორმატს. უმაღლესი სასწავლებლებთან აქტიური კოოპერაციის გზით შექმნილი "საუნივერსიტეტო ქსელი," ინოვაციური კვლევითი მეთოდების გამოყენებით განახორციელებს პროექტის პროდუქტის შემუშავებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. "საუნივერსიტეტო ქსელს" ქმნიან სახელმწიფოს მოდერნიზაციისა და ევროინტეგრაციის მიმართულებით დაინტერესებული სტუდენტები და აკადემიური პერსონალი, რომლებიც ჰოლისტიკური მიდგომის საფუძველზე, სახელწიფოს განვითარების სხვადასხვა სფეროს მიმართულებით, საკუთარი ინტერესის შესაბამისად, იღებენ მონაწილეობას სამუშაო პროცესში.

როდესაც საუბარია საზოგადოების ჩართულობის უპრეცედენტო მოდელზე, აღსანიშნავია რომ საზოგადოებას არ აქვს გეოგრაფიულ-ტერიტორიული დაბრკოლება, გახდეს მონაწილე და აქტორი საქართველოს "უკან მომავლის" გზაზე. ამ ყველაფერში, კი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ონლაინ პორტალის შექმნა ეფექტურად უზრუნველყოფს საზოგადოების ფართო ჩართულობას.

ონლაინ პლატფორმა, მოიცავს ორ ძირითად ფუნქციურ მოდულს:

ა) Raise Your Voice - იდეათა და პრობლემათა ინფორმაციული გაცვლის რეჟიმი;

ბ) Act Now - იდეათა განხორციელებისა და პრობლემათა გადაჭრაში უშუალო მონაწილეობის მიღების რეჟიმი;

შესაბამისად, პროექტი ითვალისწინებს საზოგადოების ნებისმიერი წევრის მობილური ჩართულობის შესაძლებლობას, მიუხედავად მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და დროის ფორმატისა.

შედეგობრიობის თვალსაზრისით, პროექტის მიზნად ისახავს:

- ახალი ინოვაციურ-ანალიტიკური პლატფორმების შექმნის სტიმულირებას;

- საზოგადოებაში ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული ცოდნის და ცნობიერების დონის გაზრდას;

- საქართველოს განვითარების არსებული დონის ეფექტურ გაზომვას;

- ევროკავშირში გაწევრიანებისათვის განვითარების აუცილებელი დონის იდენტიფიცირებას;

- მნიშნველოვან სფეროთა მიხედვით, განვითარების საჭირო დონის მიღწევის მიზნით აუცილებელ რეფორმათა პაკეტის შემუშავებას;

- ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებული კომუნიკაციის გაზრდას;

- ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (ევროინტეგრაციის ფარგლებში) შეფასებითი "ტესტის" შექმნას;